

თავი IV

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2015 წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-29 234.4) ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 603 861.6 ათასი ლარის ოდენობით.
2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 652 492.4 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ზრდა	<i>ათას ლარებში</i>	
	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	348,282.2	652,492.4
ვალუტა და დეპოზიტები	35,141.5	349,257.0
სესხები	118,236.0	116,947.7
აქციები და სხვა კაპიტალი	194,904.7	186,287.6

*ვალუტა და დეპოზიტებში 349 257.0 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 434 413.5 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2015 წლის 1 ოქტომბრისათვის განისაზღვრა 783 670.5 ათასი ლარით (მათ შორის, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში ვადაიან დეპოზიტებზე განთავსებულია 99 996.0 ათასი ლარი).

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 48 630.7 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლება	<i>ათას ლარებში</i>	
	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	50,739.5	48,630.7
სესხები	50,739.5	48,626.6
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	4.2

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 633 096.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 974 035.0 ათასი ლარი, მათ შორის:

- 330 484.1 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 349 728.2 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 293 822.2 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები;
- 0.5 ათასი ლარი - ხაზინის ერთიან ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხა (აღნიშნული თანხა დონორი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში დაკორექტირდება და აისახება შესაბამის ანგარიშზე).

ვალდებულებების ზრდა	ათას ლარებში	
	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	1,168,700.2	974,035.0
საშინაო	400,000.0	330,484.1
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	400,000.0	330,484.1
საგარეო	768,700.2	643,550.9
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.5
სესხები	768,700.2	643,550.4

დასახელება	ათას ლარებში	
	საანგარიშო პერიოდის ფაქტი	
ბიუჯეტის მხარდამჭერის კრედიტები	293,822.2	
WB	269,085.6	
EU	24,736.6	
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	349,728.2	
IFAD	3,933.9	
WB	101,948.9	
EBRD	9,156.7	
ADB	126,548.5	
EIB	34,661.6	
საფრანგეთი	5,631.2	
იაპონია	49,069.0	
გერმანია	18,778.4	
სულ კრედიტები	643,550.4	

2015 წლის 9 თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 30 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 788,996.0 ათასი ლარის მოცულობით, ამავე პერიოდში დაიფარა 449,200.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 49.3% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 28.5% - 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 19.6% - 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 2.6% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 759 364.3 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 428 880.2 ათასი ლარი შეადგინა. შედეგად, საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ შეადგინა 330 484.1 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი პარამეტრის 82.6%-ია. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაგეგმილი ემისიის მოცულობის შემცირების შესახებ.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის N29 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის და დაფარვის წესი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის 2015 წელს დაგეგმილი 100 000.0 ათასი ლარის ემისიიდან, საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 99 996.0 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა განთავსდა ვადიანი დეპოზიტის სახით, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში, ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისად, კუპონის განაკვეთს დამატებული 1 საპროცენტო პუნქტი.

2015 წლის 9 თვის განმავლობაში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	ვალდებულებების ზრდა		ვალდებულებების კლება	ვალდებულებების წმინდა ზრდა
	მთლიანად	მ. შ. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფისთვის		
იანვარი	170,362.4	49,998.0	85,544.6	84,817.8
თებერვალი	147,037.3	49,998.0	55,732.8	91,304.6
მარტი	77,435.6		54,981.0	22,454.6
აპრილი	82,077.5		56,261.2	25,816.3
მაისი	79,566.8		56,389.4	23,177.4
ივნისი	47,521.7		0.0	47,521.7
ივლისი	98,189.9		56,567.9	41,622.1
აგვისტო	37,718.3		63,403.4	-25,685.1
სექტემბერი	19,454.7		0.0	19,454.7
სულ	759,364.3	99,996.0	428,880.2	330,484.1

3. ვალდებულებების კლება 340 939.0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
		345,263.5
საშინაო	39,064.0	38,918.1
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	27,000.0	27,000.0

სესხები	1,192.3	1,192.1
სხვა კრედიტორული დავალიანებები	10,871.7	10,725.9
საგარეო	306,199.5	302,020.9
სესხები	305,300.0	301,121.5
სხვა კრედიტორული დავალიანებები	899.5	899.4

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2015 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალმა შეადგინა 12 842 942.3 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ სახელმწიფო საშინაო ვალი შეადგენს 2 851 397.8 ათას ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეზ-ისთვის“) – 400 846.0 ათასი ლარი, სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 145 000.0 ათას ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 396 205.7 ათასი ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 1 237 021.1 ათასი ლარი, სხვა სავალო ვალდებულებები (ე.წ. „ისტორიული ვალი“) - 672 325.0 ათასი ლარი;
- ✓ სახელმწიფო საგარეო ვალი შეადგენს 9 991 544.5 ათასი ლარს.

ათას ლარებში

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2015 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
სულ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	9,991,544.5
მთავრობის საგარეო ვალი	9,935,379.6
მრავალმხრივი კრედიტორები	7,024,147.4
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,929,748.3
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	1,469,457.0
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	70,844.3
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	267,451.8
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	204,540.3
ევროგაერთიანება (EU)	26,736.0
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	1,514,928.7
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	540,441.0
ორმხრივი კრედიტორები	1,715,005.2
ავსტრია	29,222.4
აზერბაიჯანი	25,736.4
თურქმენეთი	502.7
თურქეთი	49,222.7
ირანი	20,059.0

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2015 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
რუსეთი	210,460.1
სომხეთი	30,287.7
უზბეკეთი	610.3
უკრაინა	557.4
ყაზახეთი	66,146.6
ჩინეთი	7,859.3
გერმანია	652,940.3
იაპონია	380,490.9
კუვეიტი	39,478.5
ნიდერლანდები	3,333.1
ამერიკა	68,828.6
საფრანგეთი	129,269.2
ფასიანი ქაღალდები	1,190,800.0
ევროობლიგაცია	1,190,800.0
გარანტირებული კრედიტები	5,427.0
გერმანია	5,427.0
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	56,164.9
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	56,164.9